



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

1959 • 50 • 2009

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი № 30323/02)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი

2009 წლის 27 ოქტომბერი

საბოლოო გახდა

27/01/2010

წინამდებარე გადაწყვეტილებაში შესაძლოა შევიდეს რედაქციული ცვლილებები

საქმეში: ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, თავმჯდომარე,

ვლადიმერო ზაგრებელსკი,

დანუტე იოჩინე,

დრაგოლიუბ პოპოვიჩი,

ანდრეაშ შაიო,

ნონა წოწორია,

კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები

და *ფრანსუაზ ელენს-პასოსი*, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,

განიხილა რა საქმე პალატის 2006 წლის 20 ივნისისა და 2009 წლის 6
ოქტომბრის სხდომაზე, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№30323/02), რომელიც სასამართლოში შეიტანეს საქართველოს მოქალაქეებმა, ბ-ნმა *არჩილ ფანჯიკიძემ* და მისმა დედამ, ქ-ნმა *ზოია ფანჯიკიძემ*, ბ-ნებმა *გუჯარ ყურაშვილმა*, *კახაბერ ქანთარიმ*, *გიორგი გიორგაძემ*, *ოთარ მელიქიძემ* და *იოსებ ნადირაძემ*, 2002 წლის 24 ივლისს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34 - ე მუხლის საფუძველზე.

2. 2006 წლის 20 ივნისს, სასამართლომ მთავრობას აცნობა ბ-ნების, *ფანჯიკიძის*, *ყურაშვილის*, *ქანთარიასა* და *გიორგაძის* („მომჩივნები“) პრეტენზიების ნაწილი (სასამართლოს რეგლამენტის 54-ე (§2) „ბ“ მუხლი). საჩივრის დარჩენილი ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი. იმავე დღეს, სასამართლომ გადაწყვიტა ზემოაღნიშნული პრეტენზიების დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა (კონვენციის 29-ე (§3) მუხლი).

3. ბ-ბი, ფანჯიკიძე, ყურაშვილი და ქანთარია ამტკიცებდნენ, რომ ისინი არ ყოფილან გასამართლებულნი კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ და გამოძიების საწყის ეტაპზე არ ჰყოლიათ მათ მიერ არჩეული ადვოკატები, რაც შეეხება ბ-ნ გიორგაძეს, ის ასაჩივრებს დაკავების შემდეგ მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას.

4. 2006 წლის 27 ნოემბრამდე, მომჩივნებს წარმოადგენდნენ ადვოკატები ლ. მუხაშავრია და მ. ძამუკაშვილი. ბ-ნი ფანჯიკიძე ასევე იყო წარმომადგენილი ადვოკატ ა. ფანჯიკიძის, ხოლო ბ-ნები ყურაშვილი და ქანთარია - ადვოკატ ჰ. ბედენაშვილის მიერ. აღნიშნული თარიღის შემდეგ, მომჩივნებს წარმოადგენდა ადვოკატი ნ. ლეგაშვილი, რომელიც საადვოკატო საქმიანობას თბილისში

ახორციელებს. ბ-ნ ფანჯიკიძეს ასევე იცავდა ადვოკატი ა. ფანჯიკიძე, ხოლო ბ-ნებს, ყურაშვილსა და ქანთარიას - ადვოკატი ც. ჯავახიშვილი. 2009 წლის 24 თებერვლიდან ბ-ნი ყურაშვილს მხოლოდ ჰ. ბედენაშვილი წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) თანმიმდევრულად წარმოადგენდნენ ქ-ნი ირინე ბართაია და ბ-ნი ბესარიონ ბოხაშვილი – სახელმწიფო წარმომადგენლები.

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

6. ბ-ნები, არჩილ ფანჯიკიძე, გუჯარ ყურაშვილი, კახაბერ ქანთარია და გიორგი გიორგაძე, დაბადებულნი შესაბამისად, 1967, 1951, 1971, 1971 წლებში ცხოვრობენ ქ. თბილისში.

7. მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი საქმის გარემოებები შემდეგში მდგომარეობს.

1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და წინასწარი გამოძიება

8. 1999 წლის 24 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრაზვერვის სამსახურის ხელთ არსებული ინორმაციის საფუძველზე, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, საქართველოს ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მომზადების ბრალდებით, გარკვეულ პირთა X ჯგუფის მიმართ, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. აღნიშნული დაჯგუფება მართული იყო რუსეთში მცხოვრები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის, ბ-ნი. გ.-ს მიერ და მის მიზანს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ფიზიკური ლიკვიდაცია წარმოადგენდა.

9. 1999 წლის 22 მაისს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გამოსცა ბრძანება იმ საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც 33 გამომძიებლისაგან უნდა შემდგარიყო. აღნიშნული საგამოძიებო ჯგუფი უშიშროების (13 წევრი), შს სამინისტროებისა და გენერალური პროკურატურის გამომძიებლებისაგან უნდა დაკომპლექტებულიყო, რომელსაც სათავეში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე, ბ-ნი მ. სალაყაია (შემდგომში, „საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი“) ჩაუდგებოდა.

10. 1999 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით, საგამომიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა სახელმწიფო უშიშროების მინისტრი დაზარალებულად ცნო (ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლი) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო, მაღალი თანამდებობის პირის მკვლელობის მომზადების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის გამო, ასეთივე სტატუსით იქნა ცნობილი შს მინისტრი 1999 წლის 9 დეკემბერს.

ა) ბ-ნი ფანჯიკიძე

11. 1999 წლის 16 მარტს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გასცა ნებართვა 1999 წლის 22 მარტიდან 19 მაისამდე, სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის პირადი მცველის, ბ-ი ფანჯიკიძის სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენისა და მათი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მოპოვების შესახებ. 1999 წლის 24 მარტს ბ-ი ფანჯიკიძის შეხვედრა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელთან, ბ-ნ რამაზაშვილთან, გახდა ფარული დაკვირვების ობიექტი და შედეგად, მომზადდა ამ შეხვედრის საიდუმლო აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

12. 1999 წლის 6 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასცა ნებართვა 1999 წლის 7 აპრილს ბ-ნი ფანჯიკიძისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერის, უშიშროების ექს-მინისტრის მამის, ბ-ნი პ.გ.-ის შეხვედრის, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების განხორციელებასთან და თვით ყოფილ მინისტრთან მომჩივნის სატელეფონო საუბრების ფარულ მოსმენებთან და ჩანაწერების მომზადებასთან დაკავშირებით.

13. 1999 წლის 22 მაისს, 14:30 საათზე, მომჩივანი დააკავეს თავის საცხოვრებელ სახლში. მას, აუცილებელი წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე, ჩაუტარდა ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა „ნაგანის“ ტიპის რევოლვერი 6 ვაზნით და 1 ხელყუმბარა. პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი ბ-ნი ფანჯიკიძისათვის 17:00 საათამდე უცნობი იყო დაკავების მიზეზი. ამ დროისთვის, მომჩივანი ექვმიტანილად იქნა ცნობილი ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობით სამშობლოს ღალატში; ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობასა და მომზადებაში; უკანონო შეიარაღებული ფორმირების მომზადებასა და მასში მონაწილეობის მიღებაში და იარაღის უკანონოდ შექმნაში, შენახვაში, ტარებასა და გადაზიდვაში. ბ-ნი ფანჯიკიძე, ექვმიტანილად ცნობის მომენტიდან, სარგებლობდა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის დახმარებით, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მომჩივნის ექვმიტანილის სახით პირველი დაკითხვის პროცედურის წარმოებაში. 1999 წლის 23 მაისს მომჩივანს უკვე მისი ოჯახის მიერ არჩეული ადვოკატი იცავდა.

14. 1999 წლის 23 მაისს გამომძიებელმა უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, იმის შესახებ, რომ 1999 წლის 22 მაისს ბ-ნი ფანჯიკიძის საცხოვრებელ სახლში ადგილი ჰქონდა „გადაუდებელი აუცილებლობის“ პირობებში ჩხრეკის ჩატარებას და მოითხოვა ხსენებული საპროცესო მოქმედების კანონიერად

ცნობა (სსსკ-ის 209(§2) მუხლი). იმავე დღეს, უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და დაასკვნა, რომ ჩხრეკის პროცედურა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელდა.

15. 1999 წლის 24 მაისს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ბ-ნ ფანჯიკიძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

16. 1999 წლის 2 ივნისს, ბ-ნი ფანჯიკიძის მოთხოვნა მისი მეუღლისა და მამის დაკითხვის შესახებ, არ დაკმაყოფილდა სსსკ-ის 95-ე (§1) „ზ“ მუხლის საფუძველზე. (§49). 1999 წლის 8 ოქტომბერს მომჩივნის ადვოკატმა ხელახლა დააყენა იგივე შუამდგომლობა, იმ არგუმენტით, რომ ზემოხსენებული პირები ფლობდნენ „მისი კლიენტის ინტერესების დაცვისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას“. აღნიშნული მოთხოვნა კვლავ უარყოფილ იქნა.

17. 1999 წლის 29 დეკემბერს ბ-ნმა ფანჯიკიძემ საგამომიებო ჯგუფის ხელმძღვანელისთვის აცილების მიცემა მოითხოვა, ეჭვქვეშ დააყენა რა სახელმწიფო უშიშროების მინისტრისაგან ამ პიროვნების დამოუკიდებლობის საკითხი, მით უფრო, რომ უშიშროების მინისტრი იმავე საქმეში დაზარალებულ მხარეს წარმოადგენდა.

ბ) ბ-ნი ყურაშვილი

18. 1999 წლის 3 და 13 მაისს, სასამართლო ბრძანების საფუძველზე ჩაწერილი სატელეფონო საუბრის დროს, ბ-ნი გუჯარ ყურაშვილი, თანამოსაუბრეს, ვინმე წ.-ს, სახელმწიფო გადატრიალების სამხედრო გეგმას უზიარებდა.

19. 1999 წლის 22 მაისს, დილით, ბ-ნი ყურაშვილი დაკავებულ იქნა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. მისი 7-საათიანი დაკითხვის შემდეგ, რომელიც ყოველგვარი ოფიციალური ოქმის შედგენის გარეშე, საიდუმლოდ იქნა ჩაწერილი, მომჩივანს ხელბორკილები დაადეს და 18:00 საათისათვის გადაიყვანეს შს სამინისტროს საგამომიებო იზოლატორში. მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა ზეწოლა და მუქარა. მისი დაკითხვა, წარმოებდა რა 22-23 მაისის ღამეს, მისი დაკავების ოქმი შედგა მხოლოდ 1999 წლის 23 მაისს, 16:00 სთ-ზე. 1999 წლის 23 მაისს ბ-ნი ყურაშვილი ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი ზემოხსენებული შეთქმულების საქმესთან დაკავშირებით. სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის, ბ-ნი ჩიქოვანის თანდასწრებით, იგი ეჭვმიტანილის სახით დაიკითხა 16:00-დან 23.00 საათამდე. დაკითხვაზე მომჩივანმა ისაუბრა უშიშროების ყოფილ მინისტრთან შეხვედრებზე მოსკოვში, მინსკა და ბეირუთში, დეტალურად აღწერა მათ შორის გამართული სატელეფონო საუბრები და ამტკიცებდა, რომ ის ყოფილ მინისტრს აწვდიდა ინფორმაციებს ქართული არმიის დისლოკაციისა და არმიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ყოფილმა მინისტრმა მას გარკვეული თანხა გადასცა შუამავლების მეშვეობით.

20. 1999 წლის 24 მაისს, მაშინ, როდესაც ის დაკავებული იყო შსს წინასწარი გამოძიების იზოლატორში, ბ-ნმა ყურაშვილმა წერილობითი აღიარება გაუგზავნა შს მინისტრს, სადაც მან მიუთითა, რომ სურდა წინა დღით მიწოდებული ინფორმაციების შევსება, კერძოდ, ის საუბრობდა იმ შეთქმულების ორგანიზებასთან დაკავშირებულ დეტალებზე, რომელსაც უშიშროების ყოფილი მინისტრი ხელმძღვანელობდა. მომჩივანი წუხდა იმის შესახებ, რომ აღნიშნულის თაობაზე ხელისუფლებას დროულად ვერ შეატყობინა და ირწმუნებოდა, რომ იგი მხოლოდ მასზე ანგარიშსწორების შიშით მოქმედებდა. მომჩივანმა აღიარა, რომ ის ყოფილი მინისტრისაგან მოკრძალებულ თანხას ამ უკანასკნელის მამის შუამავლობით იღებდა. აღნიშნულ თანხას მომჩივანი უშიშროების სამინისტროს იმ ოფიცრებს უნაწილებდა, რომლებიც ფინანსურ პრობლემებს განიცდიდნენ.

21. იმავე დღეს, მოხდა ბ-ნი ყურაშვილისათვის ბრალის წარდგენა და იგი დაიკითხა ბრალდებულის სტატუსით. დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ აღნიშნული პროცედურის დაწყებისთანავე, მომჩივანს ეცნობა იმ ფაქტის შესახებ, რომ მისი ოჯახის წევრებმა ბ-ნი ყურაშვილის ინტერესების დამცველად ადვოკატი, ბ-ნი გოგსაძე აირჩიეს. როდესაც მომჩივანს ჰკითხეს, სურდა თუ არა ადვოკატ გოგსაძის მოწვევა, მან უპასუხა, რომ იგი თანახმა იყო, დაეკითხათ სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის, ბ-ნი ჩიქოვანის თანდასწრებითაც. დაკითხვის დროს, მან შეცვალა აღიარებაში მოყვანილი ზოგიერთი ფაქტობრივი გარემოება.

22. 1999 წლის 25 მაისიდან, მომჩივანმა მისი ინტერესების დამცველად ადვოკატი გოგსაძე დანიშნა, რომელიც მას მთელი წინასწარი გამოძიების განმავლობაში, საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე, იცავდა.

23. 1999 წლის 25 მაისს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ბ-ნ ყურაშვილისათვის 3-თვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.

24. 2000 წლის ივნისში „დემოკრატი იურისტთა კავშირის“ წევრმა, ბ-ნმა ბედენაშვილმა, მომჩივნის პროცესზე დაშვების თხოვნით, მიმართა საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელს. ადვოკატმა წარმოადგინა, როგორც „კავშირის“ მიერ გაცემული მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი ორდერი, ასევე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2000 წლის 26 ივნისს აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაიშვებოდნენ მხოლოდ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები. ტერმინით „მოქმედი კანონმდებლობა“ გათვალისწინებული დებულება გადაწყვეტილებაში მითითებული არ ყოფილა. ადვოკატმა გენერალურ პროკურორთან გაასაჩივრა მიღებული უარი, რომელმაც, იმავე მოტივით, არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა 2000 წლის 12 ივლისს, თუმცა მას კვლავ არ მოუთითებია ის ნორმა, რომელსაც აღნიშნული უარი ეფუძნებოდა.

25. ბ-ნი ბედენაშვილი მომჩივნის ინტერესებს იცავდა პირველი და საკასაციო ინსტანციების წინაშე.

გ) ბ-ნი ქანთარია

26. ბ-ნი ქანთარიას სატელეფონო საუბრების შემდეგ, რომელთა მოსმენა განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უზენაესმა სასამართლომ კანონიერად ცნო, 1999 წლის 22 მაისს, 13:00 საათზე, ბ-ნი ქანთარია დაკავებულ იქნა საკუთარ საცხოვრებელ სახლში. მისი ხრეკა ჩატარდა 1999 წლის 22 მაისს, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, რომელიც უზენაესმა სასამართლომ მოგვიანებით, 1999 წლის 23 ივნისს ცნო კანონიერად. ამასთან დაკავშირებით გაცემული წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა „ტოკარევის“ ტიპის პისტოლეტი, მისი სავაზნე 8 ვაზნასთან ერთად და „კალაშნიკოვის“ 1 ვაზნა.

27. იმავე დღეს, 17:00 საათისათვის, ბ-ნი ქანთარია ექვმიტანილად იქნა ცნობილი იგივე ბრალდებულთან დაკავშირებით, რისთვისაც ბ-ნი ფანჯიკიძე. როგორც ექვმიტანილად ცნობის, ისე ბრალდებულის სტატუსით შემდგომი დაკითხვის დროს, ბრალდებულს იცავდა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი ლ. ნარიმანიძე.

28. 1999 წლის 23 მაისს ბ-ნი ქანთარია გადაყვანილ იქნა შსს წინასწარი გამოძიების იზოლატორში. 1999 წლის 24 მაისს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ მიიღო დადგენილება მისთვის 3-თვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.

29. 1999 წლის 24 მაისს ზოგიერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საშუალებით, განაცხადა, რომ ისეთი ტერორისტები, როგორებიც არიან ბ-ნები: ფანჯიკიძე, ყურაშვილი და ქანთარია, დაკავებულ იქნენ, რომ ამგვარად, თავიდან იქნა აცილებული ქვეყნის კონსტიტუციური რეჟიმის დამხობა და რომ ამ პირებს ემუქრებათ როგორც სამუდამო პატიმრობა, ასევე ქონების კონფისკაცია.

დ) ბ-ნი გიორგაძე

30. იმავე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ასევე ისმინებოდა ბ-ნი გიორგაძის სატელეფონო საუბრები. იგი დაკავებულ იქნა 1999 წლის 22 მაისს და იმავე დღეს, 14:45 საათზე მიყვანილ იქნა პოლიციის განყოფილებაში.

31. 1999 წლის 22 მაისს, ბ-ნი გიორგაძე ექვმიტანილად იქნა ცნობილი და დაკითხა ამ სტატუსით. შესაბამისი დაკითხვის ოქმის მიხედვით, აღნიშნული დაკითხვა წარიმართა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის თანდასწრებით, 19:25 საათიდან 23:15 საათამდე. ოქმს ხელი მოაწერეს ბ-ნმა გიორგაძემ, მისმა ადვოკატმა და გამომძიებელმა. გამომძიებლის შეკითხვაზე, მისაღები იყო თუ არა მისთვის სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის კანდიდატურა, მომჩივანმა დადებითი პასუხი გასცა.

32. 1999 წლის 23 მაისს, ბ-ნი გიორგაძე გასინჯა საგამოძიებო იზოლატორის ექიმმა, რომელმაც განაცხადა, რომ მომჩივნის სხეულზე ფიზიკური დაზიანების არავითარი კვალი არ შეინიშნებოდა. ამის შემდგომ, მომჩივანი მიღებულ იქნა საგამოძიებო იზოლატორში.

33. იმავე დღეს, მოხდა ბ-ნი გიორგაძისთვის ბრალის წარდგენა და იგი დაიკითხა ბრალდებულის სტატუსით. როგორც დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, გამომძიებლის შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა განსხვავებებს მომჩივნის მიერ იმავე დღისა და 1999 წლის 22 ივნისის ჩვენებებს შორის, მომჩივანმა უპასუხა, რომ 1999 წლის 22 ივნისს, ის იმყოფებოდა ემოციური შოკისა და სტრესის მდგომარეობაში. მას შემდეგ, მას ჰქონდა სიტუაციის გაანალიზების დრო და შესაბამისად, მისი შემდგომი ჩვენება სიმართლეს შეესაბამებოდა. ხსენებულ სტრესთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, მომჩივანმა უპასუხა, რომ დაკავებამ მასში სტრესი გამოიწვია და მან, 1999 წლის 22 ივნისს მიცემულ ჩვენებაზე ხელი მოაწერა, მიაჩნდა რა, რომ „ეს აუცილებელი იყო“.

34. 1999 წლის 24 მაისს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ბ-ნ გიორგაძეს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

2. წინასწარი გამოძიების დასრულება

35. 1999 წლის 30 დეკემბერს დასრულდა წინასწარი გამოძიება. მომჩივნებს ნება დაერთოთ, გაცნობოდნენ საქმის მასალებს, თუმცა ერთ-ერთი თანაბრალდებულის გარდაცვალების გამო (რომელსაც კავშირი არა აქვს წინამდებარე საჩივართან), 2000 წლის 8 თებერვალს, „გარკვეული პროცედურების წარმოების მიზნით“, წინასწარი გამოძიება განახლდა და იმავე დღეს დაიხურა. მხარეები 2000 წლის 9 თებერვლიდან შეუდგნენ საქმის მასალების გაცნობას.

36. კერძოდ, ბ-ნ ფანჯიკიძესა და ბ-ნ ქანთარიას ბრალი ედებოდათ ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე (შეთქმულების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა), 67-ე (თანამდებობრივი საქმიანობის გამო მაღალი თანამდებობის პირის მკვლელობა), 238-ე (§1) და 238-ე (§§ 1-3) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. ბ-ნ ყურაშვილს ბრალი ედებოდა იმავე კოდექსის 65-ე, 67-ე, და 238-ე (§1) მუხლების საფუძველზე.

37. მთავრობის თანახმად, 2000 წლის 30 აპრილს, 10 ბრალდებული, მათ შორის, მომჩივნები, წარსდგნენ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წინაშე (შემდგომში, „სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია“). თუმცა, 2000 წლის 21 აგვისტოს, ადვოკატ გაგსაძის მიერ საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელისადმი მიმართული პროცედურული მოთხოვნიდან, რომლითაც ის მას ტყობინებდა, რომ დაასრულა საქმის მასალების გაცნობა, ირკვევა, რომ აღნიშნულ დღეს, საქმე ჯერ კიდევ არ იყო გადაგზავნილი სასამართლოში. აღნიშნულ ვარაუდს აძლიერებს ადვოკატ ბედენაშვილის ზემოხსენებული,

საგამომიებო ორგანოებისადმი მიმართული მოთხოვნებიც (§24). ამგვარად, მომჩივანთა სასამართლოს წინაშე წარდგენის რეალური თარიღი გაურკვეველი რჩება (§72).

3. სასამართლო განხილვის ეტაპი

38. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე, ბ-ნი გიორგაძე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ 1999 წლის 22 მაისს, პოლიციის განყოფილებაში წარმოებული დაკითხვის დროს, მის მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარასა და არაადამიანურ მოპყრობას. კერძოდ, ის ამტკიცებდა, რომ მას, პლასტმასის წყლით სავსე ბოთლებით, უმოწყალოდ სცემეს და ელექტროტელეფონის გამოყენებით არაადამიანურად ეპყრობოდნენ.

39. 2001 წლის 8 ნოემბერს, კოლეგიამ, 1 მოსამართლისა და 2 მსაჯულის (არაპროფესიონალი მოსამართლის) შემადგენლობით, გამოიტანა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. გამართლდნენ რა ბრალდების დანარჩენ ნაწილთან მიმართებით, ბ-ნები ფანჯიკიძე, ყურაშვილი, ქანთარია და გიორგაძე დამნაშავეებად იქნენ ცნობილი შეთქმულების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სამშობლოს ღალატში (ახალი სისხლის სამართლის 315-ე (§1) მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც შეესაბამებოდა ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლს), ბ-ნი ქანთარია ასევე დამნაშავედ იქნა ცნობილი იარაღის უკანონო შექმნასა და შენახვაში (ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლი). ბ-ნი ფანჯიკიძის ბრალეულობა აგრეთვე დადგენილად იქნა ცნობილი მთავარი მოწმეების, რ.-ს და კ.ს ჩვენებების გათვალისწინებით, რომლებმაც მოსამართლესა და დაცვის მხარეს, რომელმაც ის დაკითხა, აღუწერეს მათი შეხვედრები მომჩივანთან (რაც შეეხება რ.-ს მისი შეხვედრები მომჩივანთან რეგულარულ ხასიათის ატარებდა), რომლიც მათ აცნობდა სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის მიერ ინიცირებულ შეთქმულების გეგმას და ცდილობდა მათ ჩართვას აღნიშნული გეგმის განხორციელებაში.

40. ბ-ნებს, ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას, თითოეულ მათგანს, სასჯელის სახით 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო ბ-ნ, გიორგაძეს, 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. ეს უკანასკნელი სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა, ვინაიდან წინასწარი პატიმრობის ვადა ჩაეთვალა სასჯელის მოხდის ვადაში.

41. აღნიშნულ განაჩენში, არც უშიშროებისა და არც შს მინისტრები არ ფიგურირებენ, როგორც დაზარალებული მხარეები. გარდა ამისა, არც საქმის სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული 2 პირი ასეთი სტატუსით იყო დაკითხული.

42. ბ-ნ გიორგაძეს საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია ზემოაღნიშნული განაჩენი. დანარჩენმა სამმა მომჩივანმა მათი მსჯავრდების საფუძვლიანობა უზენაესი

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატაში („სისხლის სამართლის საქმეთა პალატა“) გაასაჩივრეს და თავიანთ საკასაციო საჩივარში გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ მათი საქმის წინასწარ გამოძიებას უშიშროების სამინისტრო აწარმოებდა, მაშინ როდესაც თავად უშიშროების მინისტრი ამავე საქმეში დაზარალებულად იქნა ცნობილი.

43. 2002 წლის 25 იანვარს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, 3 პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, უცვლელად დატოვა 2001 წლის 8 ნოემბრის განაჩენი, მას შემდეგ, რაც მოისმინა მხარეთა არგუმენტები, „შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეამოწმა განაჩენის კანონიერება და საჩივრების დასაბუთებულობა“. კერძოდ, მან მიიჩნია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მომჩივნები მსჯავრდებულნი იქნენ მხოლოდ ბრალდების უტყუარი მტკიცებულებებით გამყარებულ ნაწილთან მიმართებით და რომ ბრალდების დანარჩენ ნაწილთან დაკავშირებით არსებული ეჭვები და ვარაუდები მათ სასარგებლოდ იქნა გამოყენებული.

44. რაც შეეხება გამოძიების მწარმოებელი ორგანოს დამოუკიდებლობის არარსებობასთან დაკავშირებულ მოთხოვნას, პირველ რიგში, საკასაციო ინსტანციამ შეახსენა, რომ სსსკ-ის 62-ე მუხლის შესაბამისად, იმ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება, რომელთა შემადგენლობაც მათ ბრალად შეერაცხათ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნებოდა. შემდეგ, პალატამ აღნიშნა, რომ საგამოძიებო ჯგუფი შედგენილ იქნა გენერალური პროკურორის მიერ და რომ იგი გამოძიებას პროცედურული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა. და ბოლოს, პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, „წინასწარი გამოძიების“ დროს, სარგებლობდა დაზარალებულის სტატუსით. შესაბამისად, ვინაიდან მომჩივნები გამართლდნენ მინისტრის მკვლელობის მომზადების ბრალდებასთან მიმართებით, სტატუსი, რომლითაც სარგებლობდა უშიშროების მინისტრი, არ წარმოადგენდა განაჩენის გაუქმების საფუძველს.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი

45. რქაც შეეხება არასათანადო მოპყობასთან მიმართებით შეტანილ საჩივრებს

ა) იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 24 § 2 და 4

„2. საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ პროკურორი და გამომძიებელი ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების, სახელმწიფო ორგანოთა და არასახელმწიფო ორგანიზაციათა შეტყობინებების, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობების საფუძველზე.

4. მომკვლევნი, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღძრან საჯარო ბრალდების საქმე, მიიღონ ზომები დანაშაულის გასახსნელად და დამნაშავის დასადგენად, არ დაუშვან უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.“

მუხლი 27§1

„1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), 125-ე (ცემა) და 148-ე (ცილისწამება) გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ საქმეები აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით (...)“

მუხლი 235§1

„1. საჩივარი შეაქვთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება (...)“

მუხლი 261§2

„მოსამართლეს უფლება აქვს აღძრას სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ მსხვერპლის საჩივრის საფუძველზე.“

მუხლი 263§1

„1. წინასწარი გამოძიების დაწყების საბაზია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც მომკვლევს, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა (...) ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აგრეთვე უშუალოდ სამართალწარმოების ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები (...)“

მუხლი 265 §§ 1 და 4

„1. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.

4. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ დაუყოვნებლივ განიხილება. თუ პირი დაკავებულია, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდება დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში. დანარჩენ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას შეიძლება წინ უძღოდეს მიღებული ცნობების შემოწმება, რაც 20 დღეზე მეტ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს.“

46. მსაჯულებთან დაკავშირებით

ა) 1999 წლის 20 თებერვლის ისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი („სსსკ“), რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისს

აღნიშნული კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც ძალაში იყო ფაქტების დადგომის დროს შემდეგში მდგომარეობს :

მუხლი 8§3

„სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. მოსამართლე და მსაჯული დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს.“

მუხლი 44. § 1 და 2

„1. სასამართლო - მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლექტიური ორგანო; მოსამართლე - ორგანო, რომელიც ერთპიროვნულად, არსებითად განიხილავს სისხლის სამართლის საქმესა და მასალებს საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2. მსაჯული - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის პირველი ინსტანციით საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი წესით დაშვებული საქართველოს მოქალაქე.“

მუხლი 51

„სასამართლო კოლეგიის ყველა მოსამართლეს, აგრეთვე მოსამართლესა და მსაჯულს საქმის განხილვისას მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების თანაბარი უფლებები აქვთ.“

მუხლი 105§1

„1. მოსამართლე, მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევნი ან სასამართლო სხდომის მდივანი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

- ა) იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით;
- ბ) ამოიწურა მისი უფლებამოსილების ვადა;
- გ) საქმე არ არის ამ პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევის ქვემდებარე ანდა ამ სასამართლოს განსჯადი.“

105-ე მუხლში მოცემული დანარჩენი მოტივები ეხება მსაჯულთა დამოუკიდებლობის საკითხებს (იმავე საქმის წარმოებაში წინად მონაწილეობა ნათესავური ან მეგობრული ურთიერთობის ქონა მხარეებთან ან პროცესის სხვა მონაწილეებთან)

მუხლი 108 § 1, 2 და 4

„1. თუ არსებობს 105-107-ე მუხლებში აღნიშნული გარემოებები, მოსამართლე, მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევნი, (...) ვალდებული არიან განაცხადონ თვითაცილება. თუკი მათ ეს არ განუცხადებიათ, მათ აცილება შეიძლება მისცენ ექვიპიტანილმა, ბრალდებულმა, (...).

2. განცხადება აცილების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.

4. მოსამართლის ან მსაჯულის აცილების საკითხს წყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები (მსაჯულები) იმ მოსამართლის ან მსაჯულის დაუსწრებლად, რომელსაც აცილება მისცეს. საკითხს აცილების შესახებ, რომელიც მოსამართლეთა უმრავლესობას ან სასამართლოს მთელ შემადგენლობას (...), წყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უბრალო უმრავლესობით.“

მუხლი 434 § 1

„1. სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოები განსჯადობის შესაბამისად განიხილავენ: (...) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია – ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.“

მუხლი 438. § 1 და 2

„1. მოსამართლე და მსაჯულები ერთად ქმნიან კოლეგიას, რომელიც ხმების უმრავლესობით წყვეტს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას.

2. მტკიცებულებათა გამოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მსაჯული სარგებლობს მოსამართლის თანაბარი უფლებით.“

ბ) 1990 წლის 28 დეკემბრის კანონი მოსამართლის შესახებ, რომელიც გაუქმდა 1997 წლის 13 ივნისის კანონით (მუხლი 90)

აღნიშნული კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-8 და მე-10 მუხლები ადგენს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მოსამართლეები და მსაჯულები უნდა აკმაყოფილებდნენ ; კანონი ასევე ადგენდა მათი დამოუკიდებლობის პრინციპებს და განსაზღვრავდა მათი ხელშეუხებლობისა და მოსამართლედ (მსაჯულად) არჩევის წესებს. კანონის 1-ლი *in fine* და მე-12 მუხლების შესაბამისად, საქმეების განხილვის დროს, მსაჯულები სარგებლობდნენ მართლმსაჯულების განხორციელების მოსამართლეების თანაბარი უფლებებით. მოსამართლეებისაგან განსხვავებით, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა 10 წლით, მსაჯულები ირჩეოდნენ 5 წლის ვადით (მუხლი 10). მე-13 მუხლის შესაბამისად, მსაჯულები ვალდებულნი იყვნენ, მიეღოთ იურიდიული განათლება, მომზადებულიყვნენ თითოეული საქმის განხილვისათვის და დაეცვათ სასამართლო განხილვის საიდუმლოება. მოსამართლებს მსაჯულებისათვის წინასწარ უნდა აეხსნათ განსახილველი საქმეები, ისევე როგორც შესაბამისი, გამოსაყენებელი სამართლის ნორმები და არსებული პრაქტიკა.

გ) 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელიც ძალაში იყო შესაბამის დროს

მუხლი 38§2 (გაუქმდა 1998 წლის 24 დეკემბერს)

„2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს საქმეებს ერთი მოსამართლისა და ორიდან ექვსამდე მსაჯულის მონაწილეობით. საქმის განხილვაში მონაწილე მსაჯულების რაოდენობა განისაზღვრება სამართალში მიცემის სტადიაზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსაჯულების არჩევის წესს, უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელებაში მათი მონაწილეობის წესს განსაზღვრავს კანონი.“

მუხლი 46§1

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.“

1999 წლის 5 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ადგენდა მსაჯულთა დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის პრინციპებს, მოქალაქეობის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და განათლების დონის კრიტერიუმებს, რომლებიც მსაჯულად ასარჩევ პირს უნდა დაეკმაყოფილებინა, განსაზღვრავდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადებსა და მათი არჩევის წესებს, საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მსაჯულის დანიშვნის კრიტერიუმებს და მსაჯულის ჩამოცილების შემთხვევაში მათი შეცვლის საკითხებს, ადგენდა მათი სოციალური დაცვის, პროფესიული სწავლებისა და ა.შ. პრინციპებს. აღნიშნული კანონის გარდამავალი დებულებების (მუხლი 87-2) შესაბამისად, ამ მუხლის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 5 დღისა საქართველოს იუსტიციის საბჭომ, წარდგინებებით უნდა მიმართონ საქართველოს პრეზიდენტს საერთო სასამართლოებში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე. საერთო სასამართლოებში მსაჯულთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 10 დღისა საქართველოს რაიონების გამგებლები და იმ ქალაქების მერები, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, გარდა თბილისის მერისა, ამ კანონით დადგენილი წესით შერჩეული კანდიდატების სიასა და მონაცემებს მსაჯულად არჩევისათვის წარუდგენენ შესაბამისად ქ. თბილისის, საქართველოს რაიონებისა და ქალაქების საკრებულოებს. თითოეული საკრებულო შესაბამისი რაიონის გამგებლისა და ქალაქის მერის მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიასა და მონაცემებს აქვეყნებს მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 3 დღისა. რაიონის, ქალაქის საკრებულო წარდგენილ კანდიდატურებს განიხილავს და შესაბამისი სასამართლოს მსაჯულად ირჩევს თავის მორიგ ან რიგგარეშე სხდომაზე, კანდიდატთა სიისა და მონაცემების გამოქვეყნებიდან არა უადრეს 5 დღისა. თუ რომელიმე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არჩეულ მსაჯულთა რაოდენობა 1999 წლის 15 აპრილისათვის აღმოჩნდა ამ სასამართლოსათვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრულ მსაჯულთა რაოდენობის $\frac{3}{4}$ -ზე ნაკლები, მაშინ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია არა უგვიანეს 1999 წლის 20 აპრილისა საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების წარდგინების საფუძველზე, შესაბამისი რაიონის გამგებლისა თუ ქალაქის მერის მიერ შერჩეული კანდიდატებიდან დანიშნოს მსაჯულები ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადით. არჩეული (დანიშნული) მსაჯულის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა 3 წლით, რომელიც უნდა ათვლილიყო 2000 წლის 1 იანვრიდან.

1996 წლის 5 მარტსა და 16 აპრილს მიღებული ყველა დებულება გაუქმდა 1999 წლის 28 მაისის კანონით, ისე, რომ შემდგომში მათი შემცვლელი ახალი ტექსტი არ ყოფილა მიღებული.

დ) 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონი “საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ”, რომელიც ძალაში იყო ფაქტების დადგომის დროს

მუხლი 8 (გაუქმდა 2005 წლის 20 აპრილს)

„1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსჯადია.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია საქმეებს განიხილავს ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით.“

მუხლი 20

„1. უზენაესი სასამართლოს წევრად შეიძლება გამწესდეს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის კანდიდატურა. ამ გამოცდისაგან თავისუფლდება აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი.

3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არ შეიძლება გამწესდეს ნასამართლევი პირი ან ის, ვინც ადრე გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით.

4. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ეკრძალება პოლიტიკური გაერთიანების წევრობა და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა.“

მუხლი 21

„1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.“

ე) შრომის კოდექსი, რომელიც გაუქმდა 2006 წლის 25 მაისს

მუხლი 110§3

„დასაქმებული ინარჩუნებს თავის ხელფასს თუ სამუშაო დროის განმავლობაში, ის ასრულებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოქალაქეობრივ ვალდებულებას: (...) მონაწილეობს საქმის განხილვაში, როგორც მსაჯული (...)“

ვ) 1991 წლის დადგენილება, მსაჯულთა არჩევას შესახებ და მისი მომდევნო ტექსტები

მთავრობა წარმოადგენს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებას (საკანონმდებლო ორგანო 1990-იანი წლების დასაწყისში), რომელიც არ არის დათარიღებული. მთავრობა ამტკიცებს, რომ საქმე ეხება 1991 წელს მიღებულ დოკუმენტს. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება დოკუმენტს, რომელიც შეიცავს უზენაესი სასამართლოს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას, სასამართლოს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს 1991 წლის 14 ივნისის დოკუმენტი. ანდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იმ 2 მსაჯულის გვარები, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივნის საქმის განხილვაში, აღნიშნულ სიაში ფიგურირებს.

1996 წლის 7 მარტს, 1990 წლის 28 დეკემბრის კანონზე და ხსენებულ, 1991 წლის 14 ივნისის დადგენილებაზე დაყრდნობით, პარლამენტმა მიიღო დადგენილება მოსამართლის სტატუსის შესახებ, რომლითაც უკვე არჩეულ, მოქმედ მსაჯულებს უფლებამოსილების ვადა 1997 წლის 25 ნოემბრამდე გაუგრძელდათ.

1997 წლის 27 ივნისს, პარლამენტმა მიიღო ერთი კანონი, რომელშიც ის აცხადებდა, რომ ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ვადა გაგრძელებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე, რაც 1999 წლის 15 მაისს მოხდა.

ზ) 1998 წლის 12 ივნისის კანონი მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების შესახებ, რომელიც გაუქმდა 2005 წლის 25 მარტს

მუხლი 1

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადა გაგრძელებულია 1-ლ ივლისამდე.“

მუხლი 2

„ეს კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე“

აღნიშნულ კანონში მსგავსი, 1999 წლის 28 მაისის, 2000 წლის 13 ივნისისა და 5 დეკემბრის, 2001 წლის 7 დეკემბრის, 2002 წლის 28 დეკემბრისა და 2004 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შეტანის შემდეგ, უფლებამოსილების ვადა გაგრძელებულ იქნა შესაბამისად, 2000 წლის 1-ლ ივლისამდე, 2001 წლის 1-ლ იანვრამდე, 2002 წლის 1-ლ იანვრამდე და 31 დეკემბრამდე, 2004 წლის 31 დეკემბრამდე და 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

არც 1998 წლის 12 ივნისის კანონი და არც მისი შემდგომი ტექსტები არ შეიცავდა მითითებას იმ იურიდიულ ტექსტზე, რომელსაც ისინი ეყრდნობოდა.

მსაჯულთა ინსტიტუტი გაუქმდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტს შეტანილი ცვლილებების შედეგად.

47. გამოძიების ორგანოებთან დაკავშირებით

ა) იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 62 §§ 3, 4, 5 და 6

„3. სამხედრო გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობაშია ... საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ.

4. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამომძიებლები იძიებენ საქმეებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (...) 315-ე(...) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ.

5. ერთ წარმოებაში რამდენიმე ბრალდების (...) გაერთიანებისას საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამომძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება უფრო მძიმე დანაშაული.

6. თუ არსებობს კონკურენცია (...), უპირატესობა ენიჭება უწყებრივ საგამომძიებო ქვემდებარეობას.“

მუხლი 68§8

8. თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინების (დადგენილების) გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია გააუქმოს ეს გადაწყვეტილება (დადგენილება).

48. სისხლის სამართლის პროცესზე წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

ა) კონსტიტუცია

მუხლი 18§5

„5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.“

ბ) იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 44 §§ 23 და 39 (44§39 1999 წლის 28 მაისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად)

„ამ კოდექსის შესაბამისად, ტერმინი დასაცავი პირი გულისხმობს ექვმიტანილს ან ბრალდებულს, რომელსაც დამცველი იცავს.

ადვოკატურა, საადვოკატო ბიურო, ფირმა - ორგანიზაციული წარმონაქმნი, სადაც მუშაობენ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების წევრები.“

მუხლი 72 §§ 3 და 5 (რომელთაგან ზოგიერთი დებულება არაკონსტიტუციურად გამოცხადდა 2003 წლის 29 იანვარს)

3. პირის დაკავების შემთხვევაში დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და მისი ექვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს პოლიციის დაწესებულების ან მოკვლევის ორგანოს დაკავებულთა მოთავსების ადგილას პირის მიყვანიდან არა უგვიანეს 12 საათისა. დაკავებულ ექვმიტანილს დაუყოვნებლივ უნდა განემარტოს დუმილის უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, დამცველის მოწვევის უფლება (...).

5. დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება ექვმიტანილის პირველ დაკითხვამდე.»

მუხლი 73 § 1 გ)

„ექვმიტანილს უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის მომსახურებით (...)“

მუხლი 78 §§ 2, 3 და 6

„2. დამცველად დაიშვებიან: უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც ადვოკატი კანონით დადგენილი წესით (...)“

3. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს შეზღუდოს ექვმიტანილი და ბრალდებული დამცველის არჩევაში.

6. ექვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს, მთელი პროცესის განმავლობაში, უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის დანიშვნის უფლებაზე, სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის მომსახურებაზე, დანიშნოს ადვოკატის დანიშვნაზე ან საკუთარი თავის დაცვაზე. აღნიშნული უარი მიიღებ მხოლოდ პირადი ინიციატივის არსებობის შემთხვევაში.“

მუხლი 82

„სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს ადვოკატთა კოლეგიის, ფირმის, ბიუროს ორდერსა და თავის მოწმობას.“

მუხლი 84§3

„დამცველს უფლება აქვს : (...) მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე და დაიცვას განსასჯელის უფლებები (...)“.

მუხლი 146§5

„5. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან პირის ექვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ დადგენილება დაუყოვნებლივ გამოეცხადება ხელწერილით ექვმიტანილს, რომელსაც იმავდროულად განემარტება 73-ე მუხლში აღნიშნული მისი უფლებები (...)“.

აღნიშნული კოდექსის ერთ-ერთი გარდამავალი დებულების შესაბამისად (მუხლი 680§3) ადვოკატთა შესახებ კანონპროექტი უნდა შემუშავებულიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონთან ერთად, რომლითაც ფართოვდებოდა დამცველის უფლებები.

2003 წლის 2 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონით დაზუსტდა, რომ არც ერთ იურისტს, რომელსაც არ ექნებოდა ჩაბარებული ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა, 2006 წლის 1-ლი ივნისის შემდეგ, არ ჰქონდა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების წინაშე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680-2 მუხლი).

გ) კანონი ადვოკატთა შესახებ, 2001 წლის 20 ივნისის მდგომარეობით

1-ლი (§2) და მე-10 (§1) მუხლების შესაბამისად, ადვოკატი შეიძლება ყოფილიყო ყველა პირი, რომელსაც ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 1 წლის გამოცდილება და წარმატებით უნდა გაეწეო ადვოკატურის ტესტები, უნდა დაედო ფიცი და უნდა ყოფილიყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა სიაში. აღნიშნული კანონის მიღებასთან ერთად, საბჭოთა კანონი ადვოკატთა შესახებ, გაუქმდა (მუხლი 5).

49. მოწმეებთან დაკავშირებით

სსსკ-ის 95-ე (§1 „ზ“) მუხლის შესაბამისად, ექვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის ოჯახის წევრები არ შეიძლება მოწმეებად გამოიძახონ და დაკითხონ იყვნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დათანხმდებიან დაკითხვაზე, როგორც ბრალდების მოწმეები.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

50. ბ-ნი გიორგაძე ამტკიცებს, რომ 1999 წლის 22 მაისს, მისი დაკავების შემდგომი დაკითხვის დროს, მას დაემუქრნენ ოჯახის განადგურებით, მას პლასტმასის წყლით სავსე ბოთლების გამოყენებით უმოწყალოდ სცემეს და ელექტრო ტელეფონის გამოყენებით არაადამიანურად ეპყრობოდნენ. აღნიშნულ დაკითხვას ადგილი ჰქონდა 22-23 მაისის ღამეს, მომჩივნის ადვოკატის თანდასწრების გარეშე. სხვა ვერსიის თანახმად, მომჩივანი, აღნიშნული სადავო მოპყრობის მსხვერპლი გახდა 22 მაისს, 14:15 საათზე, მისი პოლიციის განყოფილებაში მიყვანასა და ოფიციალური დაკითხვის დროს, 19:45 საათს შორის პერიოდში (§§ 30-31).

51. კონვენციის მე-3 მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

ა. დასაშვებობა

1. მხარეთა არგუმენტები

52. მთავრობის თანახმად, ბ-ნ გიორგაძეს, 1999 წლის 22 მაისის დაკითხვის დროს, მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. მთავრობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული დაკითხვის დროს, ბ-ნ გიორგაძეს იცავდა საზაზინო წესით დანიშნული ადვოკატი, რომლის კანდიდატურას, სხვათა შორის, მომჩივანიც დაეთანხმა (§31 *in fine*). გასინჯა რა ბ-ნი გიორგაძე სადავო დაკითხვის მეორე დღეს, ციხის ექიმმა დაადგინა მომჩივნის სხეულზე ფიზიკური დაზიანების ნიშნების არსებობა (§32). არც ბ-ნ გიორგაძესა და არც მის ადვოკატს არ გაუსაჩივრებთ აღნიშნული სამედიცინო შემოწმების შედეგები. მათ არც ექიმის განმეორებითი ვიზიტი მოუთხოვიათ.

53. მთავრობა ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ წინასწარი გამოძიების დროს, არც ერთ მომენტში, ბ-ნ გიორგაძეს კომპეტენტური ორგანოების წინაშე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხები არ წამოუწევია. აღნიშნული პრეტენზია მან მხოლოდ დაახლოებით 12 თვის შემდეგ წამოაყენა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე. ამის მიუხედავად, მას არ წარმოუდგენია არავითარი მტკიცებულება, რომელიც გაამყარებდა მის არგუმენტებს და არ აუხსნია ის მიზეზები, რომელთა გამოც მას აღნიშნული ფაქტი მანამდე არ გაუსაჩივრებია პროკურატურაში და არც რაიმე სამედიცინო მტკიცებულების მოპოვება უცდია ამ მიმართებით. მთავრობის თქმით, ბ-ნი გიორგაძის პასიურობამ შეუძლებელი გახადა გამოძიების სასურველ დროში ჩატარება.

54. ამასთანავე, მთავრობა სთავაზობს სასამართლოს, მხედველობაში მიიღოს ის ფაქტი, რომ ბ-ნი გიორგაძე უზენაესი სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდა „ფსიქოლოგიური ზეწოლის“ ფაქტს, რომელიც მან 1999 წლის 22 მაისს, დაკითხვის დროს, განიცადა, მაშინ, როდესაც ევროპული სასამართლოს წინაშე, ის ასაჩივრებდა მის სხეულზე განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

55. ახლად დანიშნული წარმომადგენელი (§4) ამტკიცებდა, რომ მთავრობის არგუმენტი ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული, იმ თვალსაზრისით, რომ მომჩივნები თბილისის სხვადასხვა ციხეებში, აუტანელ პირობებში იყვნენ მოთავსებული.

2. სასამართლოს შეფასება

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინა პარაგრაფში მოცემული არგუმენტები არ წარმოადგენს პასუხს მთავრობის პოზიციაზე და რომ მათ არა აქვთ კავშირი ბ-ნი გიორგაძის იმ პრეტენზიებთან, რომელთა შესახებაც მთავრობას 2006 წლის 20 ივნისს ეცნობა (*Pandjigidzé et autres c. Géorgie* (déc.), n° 30323/02, 20 juin 2006). შესაბამისად,

მოცემული შემთხვევის განხილვის დროს, ისინი არ იქნება მიღებული მხედველობაში სასამართლოს მიერ.

57. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომლის თანახმად, ბ-ნმა გიორგაძემ მის წინაშე წარადგინა ეროვნული მოსამართლეების წინაშე წარდგენილისაგან განსხვავებული პრეტენზია (§§ 38 და 50). პირიქით, მომჩივანმა, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და ევროსასამართლოს იდენტური ფაქტობრივი მასალები მიაწოდა მის მირ განცდილ მოპყრობასთან დაკავშირებით.

58. აღნიშნულის მიუხედავად, საჭიროა აღინიშნოს, რომ ბ-ნ გიორგაძეს არც ერთ მომენტში არ მიუძღვრებოდა პროკურატურისათვის, რომელიც აღნიშნულ საკითხში კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს (§45 ზემოთ, ასევე, *Gharibachvili c. Géorgie*, n° 11830/03, §§ 17 et suivants, 29 juillet 2008 ; *Danelia c. Géorgie*, n° 68622/01, §48, 17 octobre 2006 ; *Davtian c. Géorgie*, n° 73241/01, §§ 44-50, 27 juillet 2006)) კონკრეტულ მომენტში სავარაუდოდ განცდილი არასათანადო მოპყრობის გასაჩივრების მიზნით, ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კონკრეტული მომენტი, რომელიც სავარაუდოდ გულისხმობს 1999 წლის 22 მაისს, მისი პოლიციის განყოფილებაში მიყვანასა და მეორე დღეს, ოფიციალურ დაკითხვას შორის პერიოდს, უცნობია (§§ 30-32 და 50). მომჩივანს აღნიშნული მოპყრობა ასევე არ გაუსაჩივრებია მაშინ, როდესაც გამომძიებელმა მას დაუსვა შეკითხვა იმის შესახებ თუ რას გულისხმობდა იგი ტერმინში „ემოციური შოკი“, რომლის მსხვერპლიც მომჩივანი, სავარაუდოდ, მისი დაკავების დღეს გახდა (§33). არასათანადო მოპყრობაზე დაფუძნებული მომჩივნის პრეტენზია მხოლოდ ერთხელ იქნა წამოყენებული სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე, ანუ სადავო ფაქტების დადგომიდან 12 თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, დადგინდეს, იყო თუ არა ხსენებული პრეტენზია სათანადოდ წარმოდგენილი და ჩამოყალიბებული „ადეკვატური“ ორგანოს წინაშე (იხ. სხვებს შორის, *Vincent c. France*, n° 6253/03, § 81, 24 octobre 2006).

59. არსებული კანონმდებლობიდან არ ირკვევა, რომ ქართულ სამართალში, მოსმართლეებს, რომლებიც საქმეს არსებითად განიხილავენ, ჰქონდეთ სისხლის სამართლის პროცესის დაწყების კომპეტენცია კონვენციის მე-3 მუხლზე დამყარებული იმ პრეტენზიების თაობაზე, რომლებიც, განსასჯელმა, შესაძლოა, საგანგებოდ ან არსებითად წამოაყენოს (*cf.*, *mutatis mutandis*, *Danelia c. Géorgie* (déc.), n° 68622/01 იმ მოსამართლეებთან დაკავშირებით, რომლებიც წინასწარი პატიმრობის საკითხს განიხილავენ). ერთადერთი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე (§2) მუხლით, მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნული მუხლის გამოყენება, საჭიროა, განსასჯელმა შეიტანოს ამავე კოდექსის 27-ე (§1) მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით შედგენილი სისხლის სამართლის სარჩელი (§45), რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, ეროვნული სასამართლოს მოსამართლეებს, კანონით არ ეკისრებათ საქმის სასამართლოს განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის პროკურატურისთვის გადაცემა, რათა, ამ უკანასკნელმა დაიწყოს გამოძიება.

60. რაც შეეხება პროკურორს, რომელიც საქმეში ფიგურირებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე (§4) და 263-ე (§1) მუხლების *in fine* გათვალისწინებით, მას უნდა მიეცეს შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მან არ აღძრა საქმე და მომჩივნის მიერ მითითებული ფაქტები არ გადასცა პროკურატურის ორგანოებს შემოწმების მიზნით. მაშასადამე, მოცემული საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, ასეთი ვარაუდი სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული ვერ იქნება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ უთითებდა რა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, მომჩივანი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ სადავო დაკითხვის დროს, მის მიერ მიცემული ჩვენებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მას არცერთ მომენტში, არაპირდაპირი გზითაც კი, არ მოუთხოვია გამოძიების ჩატარება აღნიშნულ მოპყრობასთან დაკავშირებით, რომლის შესახებ მას არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია (*cf., a contrario, Toma c. Roumanie*, n° 42716/02, §§ 40-42, 24 février 2009).

61. სისხლის სამართლის პროცესის არცერთ ეტაპზე, მომჩივანს ეჭვქვეშ არ დაუყენებია 1999 წლის 23 მაისის ექიმის დასკვნის ნამდვილობა და არც უცდია, სასურველ დროში, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, რათა წარმოედგინა საკუთარი არგუმენტების გამამყარებელი მტკიცებულებები (*cf., a contrario, Danelia, précité*, §§ 16 და 17). შესაბამისად, მომჩივანი ვერ გააპროტესტებს ამ მხრივ კომპეტენტური ორგანოების მხრიდან საჭირო გულმოდგინების ნაკლებობას, რომელსაც მან თვითონ, საკუთარი უმოქმედობით შეუწყო ხელი (*mutatis mutandis, Freimanis et Lidums c. Lettonie* (déc.), n°s 73443/01 et 74860/01, 30 janvier 2003 ; *Hussin c. Belgique* (déc.), n° 70807/01, mai 2004). ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების ინიციატივით ჩატარებულ სამედიცინო ექსპერტიზას არავითარი სარგებლობა არ ექნებოდა იმ დროისათვის, როდესაც მომჩივანმა გააპროტესტა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტი, ანუ, სადავო ფაქტების დადგომიდან 12 თვის გასვლის შემდეგ.

62. იმ თვალსაზრისით რომ თუ ეროვნული სასამართლოს მოსამართლეების მიერ, გაპროტესტებული არასათანადო მოპყრობის შემდეგ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება პრობლემებს შექმნიდა კონვენციის მე-6 მუხლის I პარაგრაფის კუთხით (*Jalloh c. Allemagne* [GC], n° 54810/00, §§ 100 et suivants, CEDH 2006-IX), სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს, მის წინაშე, არც საგანგებოდ და არც არსებითად, არ წამოუყენებია მსგავსი პრეტენზია. ყოველ შემთხვევაში, მას საკასაციო სარჩელი არ შეუტანია, რის გამოც კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე მისი სხვა პრეტენზიები დაუშვებლად იქნა ცნობილი (ფანჯიკიძე და სხვები, ზემოხსენებული განჩინება).

63. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანს, წინასწარი გამოძიების არცერთ ეტაპზე არ მიუმართავს პროკურატურის ორგანოებისათვის, რომელიც მის მიერ კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე პრეტენზიასთან მოიმართებით, კომპეტენტურ უწყებას წარმოადა. იმის ვარაუდითაც კი, რომ პროკურატურა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე წარმოაგენს პრალდების მხარეს, კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე,

საკუთარი ინიციატივით შეადგენდა სარჩელს, მომჩივნის საჩივარი მის წინაშე არც სათანადოდ ყოფილა წარმოდგენილი და არც რაიმე შესაბამისი მტკიცებულებით გამყარებული.

64. შესაბამისად, სასამართლოს მიიჩნევს, რომ მთავრობის არგუმენტი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის შესახებ, მიღებულ უნდა იქნეს და მომჩივნის პრეტენზია დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის საფუძველზე.

II. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საგარაუდო დარღვევა

65. ბ-ნები ფანჯიკიძე, ყურაშვილი და ქანთარია, (შემდგომში, „სამი მომჩივანი“), თავს მიიჩნევენ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევის მსხვერპლებად. კონვენციის მე-6 (§1) მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

„ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ (...)“

ა. დასაშვებობა

1. პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით

1) მხარეთა არგუმენტები

66. სამი მომჩივანი ასაჩივრებს 1999 წლის 9 დეკემბერს, წინასწარი გამოძიების დასრულებასა და 1-ლი ინსტანციის სასამართლოში, 2001 წლის მაისში, პროცესის დაწყებას შორის, ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობას 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

67. მთავრობა შეახსენებს, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე ეხებოდა პირთა ჯგუფს და რომ მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ტერორისტული აქტის მომზადებას უკავშირდებოდა. შესაბამისად, 2 წლის, 8 თვისა და 3 დღის პერიოდი არ შეიძლება, გადაჭარბებულად იქნეს მიჩნეული, აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით ჩამოყალიბებული ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თვალსაზრისით.

68. მომჩივან მხარეს აღნიშნულ არგუმენტზე არ უპასუხია.

ბ) სასამართლოს შეფასება

69. სასამართლო შეახსენებს, რომ პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა ფასდება საქმის გარემოებებისა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით, განსაკუთრებით, საქმის სირთულის, ასევე მომჩივნისა და კომპეტენტური ორგანოების ქცევის გათვალისწინებით (*Pecheur c. Luxembourg*, n° 16308/02, §70, 11 décembre 2007).

70. მოცემულ საქმეში, შესაბამისი პერიოდი დაიწყო 1999 წლის 22 მაისს, მომჩივნების დაკავების დღეს (იხ. ბევრ სხვას შორის, *Imbrioscia c. Suisse*, arrêt du 24 novembre 1993, série A n° 275, p. 13, §36) და დასრულდა 2002 წლის 25 იანვარს, როდესაც საკასაციო ინსტანციამ გადაწყვეტილება გამოიტანა (*Kalachnikov c. Russie*, n° 47095/99, §124, CEDH 2002-VI) ანუ დაახლოებით 2 წელი და 8 თვე, რომლის განმავლობაშიც, საქმე ორმა სასამართლო ინსტანციამ განიხილა.

71. შეფასდა რა მთლიანობაში, ასეთი ხანგრძლივობა არ შეიძლება გადაჭარბებულად იქნეს მიჩნეული კონვენციის მე-6 (§1) მუხლის თვალსაზრისით, მითუფრო, რომ სისხლის სამართლის საქმე ეხებოდა 10 ბრალდებულსა და სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ ფაქტებს. აღნიშნულის მოიუხედავად, ასეთ პირობებშიც კი, ხელისუფლების ორგანოების მიერ დაუსაბუთებელმა სრული უმოქმედობის პერიოდმა, შესაძლოა, პრობლემები შექმნას იმავე დებულების კუთხით. აღნიშნული მით უფრო შეესაბამება სინამდვილეს თუ მომჩივანი პატიმარია (*Klyakhin c. Russie*, n° 46082/99, §§ 91, 93-95, 30 novembre 2004).

72. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში წამოყენებული პრეტენზია არ არის გამყარებული. კერძოდ, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 3 მომჩივნის მტკიცების საწინააღმდეგოდ, წინასწარი გამოძიება დასრულდა არა 1999 წლის 9 დეკემბერს, არამედ, 2000 წლის 8 თებერვალს. 2000 წლის 9 თებერვლიდან, მომჩივნებსა და დანარჩენ ბრალდებულებს შესთავაზეს საქმის მასალების გაცნობა დაცვის მომზადების მიზნით. მხარეებს ევროსასამართლოსთვის არ მოუწოდებიათ მომჩივნების სასამართლოს წინაშე წარდგენის რეალური თარიღი (§37), რაც სასამართლოსათვის შეუძლებელს ხდის სასამართლოს წინაშე წარდგენასა და 2001 წლის მაისში, პროცესის დაწყებას შორის არსებული პერიოდის დადგენას, რომლიც განმავლობაშიც, ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობას. მის ხელთ არსებული ელემენტების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმის დასკვნა, რომ ეროვნული სასამართლოების წინაშე მომჩივნების წარდგენა 2000 წლის 21 აგვისტოზე ადრე არ მომხდარა, ეს არის თარიღი, რომლის დროსაც საქმე კვლავ განიხილებოდა საგამომიებო ორგანოების მიერ, რადგან ბრალდებულებს და მათ შორის, სამ მომჩივანს, ესაჭიროებოდათ დაცვის მომზადება. სწორედ 2000 წლის 21 აგვისტოს, ბ-ნი ყურაშვილის ადვოკატმა, გოგსაძემ, საგამომიებო ჯგუფის ხელმძღვანელს საქმის მასალების გაცნობის დასრულების შესახებ აცნობა. დანარჩენი ბრალდებულების მიერ საქმის მასალების გაცნობის დასრულების თარიღი უცნობია. აღნიშნული შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობას ადგილი 2000

წლის აგვისტოსა და 2001 წლის მაისს შორის პერიოდში და როგორც იყო აღნიშნული პერიოდის რეალური ხანგრძლივობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობას თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია, იმის მიუხედავად, რომ ეს მას საგანგებოდ ეთხოვა. მომჩივანი ასევე არ წარმოადგენს ნათლად ამ ასპექტს, მისი მტკიცების მიუხედავად, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი (§66).

73. ასეთ პირობებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პრეტენზია არ არის გამყარებული და დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი აშკარად დაუსაბუთებლობის გამო, კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის საფუძველზე.

2. მსაჯულებთან დაკავშირებით

ა) მხარეთა არგუმენტები

74. 3 მომჩივანი მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ისინი 1-ლი ინსტანციით გაასამართლა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც „კანონის საფუძველზე შექმნილი“, იმ თვალსაზრისით, რომ კოლეგია შედგებოდა 2 არაპროფესიონალი მოსამართლის - მსაჯულისგან, რომლებსაც არ ჰქონდათ მოსამართლის ფუნქციების განხორციელების იურიდიული კომპეტენცია.

75. მთავრობა მიიჩნევს, რომ მომჩივნებს არ ამოწურავთ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები. კერძოდ, მათ არ გამოუყენებიათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლით გარანტირებული მსაჯულების აცილების მოთხოვნის უფლება და ეს, იმის მიუხედავად, რომ მათ ინტერესებს პროფესიონალი იურისტები იცავდნენ.

76. მომჩივნების აზრით, წინამდებარე საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მსაჯულის აცილების მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის ეფექტურ საშუალებას, რომელიც მათ უნდა გამოეყენებინათ.

2) სასამართლოს შეფასება

77. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 35-ე (§1) მუხლი არ აკისრებს მიმართვის ისეთი საშუალებების გამოყენების ვალდებულებას, რომლებიც არც ადეკვატურია და არც ეფექტური, ან სხვა სიტყვებით, რომლებსაც არ შეუძლია გაკრიტიკებული სიტუაციის გამოსწორება. ამასთანავე, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების“ მიხედვით, ზოგიერთი განსაკუთრებული

გარემოება ათავისუფლებს მომჩივანს მის ხელთ არსებული მიმართვის შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულებისაგან. აღნიშნული წესი ასევე არ გამოიყენება ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მდგომარეობს კონვენციით აკრძალული აქტების განმეორებასა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული აქტების შემწყნარებლობაში, ისე, რომ ყოველგვარი პროცედურა არაეფექტური და აზრს მოკლებულია (*Aksoy c. Turquie*, 18 décembre 1996, §52, *Recueil des arrêts et décisions* 1996-VI), სხვა სიტყვებით, მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის წესი ავტომატურად არ გამოიყენება და აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს; მისი შესრულების კონტროლთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის გარემოებები (*Akdivar et autres c. Turquie*, 16 septembre 1996, §§ 65-69, *Recueil* 1996-IV). გარდა ამისა, კონვენცია ავალდებულებს მხოლოდ მიმართვის იმ შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვას, რომლებიც არსებობს სარწმუნოობის საკმარის დონეზე როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაში, რის გარეშეც მათ აკლია სასურველი ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა (*Dalia c. France*, 19 février 1998, §38, *Recueil* 1998-I).

78. რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, სასამართლოს აღნიშნავს, რომ რეალურად, სსსკ-ის 108-ე მუხლის გამოყენებით, მომჩივნებს შეეძლოთ, მოეთხოვათ მსაჯულების აცილება, რომლებიც მათ საქმეს იხილავდნენ. თუმცა აღნიშნული მოთხოვნის ფორმულირება მხოლოდ იმავე კოდექსის 105-ე (§1) მუხლში მოცემული მოტივების არსებობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი (იხ. §19, „ა“). მთავრობა არ იძლევა ახსნა განმარტებას იმის შესახებ თუ აღნიშნული მოტივებიდან, რომელს უნდა დაყრდნობოდნენ მომჩივნები მსაჯულთათვის აცილების მიცემის მოთხოვნის კანონის შესაბამისად დასაბუთების მიზნით, (სსსკ-ის 108-ე (§2) მუხლი). სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ ივარაუდოს, რომ იმ საკითხის გათვალისწინებით, რომელიც მომჩივნებს აწუხებდათ, მათ შეეძლოთ, დაყრდნობოდნენ 105-ე (§1) მუხლის „ა“ აბზაცში მოცემულ მოტივს, იმის სამტკიცებლად, რომ მსაჯულები არ იყვნენ „დანიშნულნი ან არჩეულნი მათ თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“.

79. მაშასადამე, იმის გათვალისწინებით, რომ მსაჯულთა ინსტიტუტს გააჩნდა იურიდიული ხარვეზები, ვინაიდან ნათლად არ იყო განსაზღვრული „კანონი“, რომელიც არეგულირებდა მათ მდგომარეობას, (§70 და მომდევნო პარაგრაფები) და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ რომელიმე საქმის სპეციფიკური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე (§4) მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი შეიცავდა შეფრხვების სერიოზულ რისკს, ნათლად არ იკვეთება, რომ მომჩივნები შეძლებდნენ, ეფექტურად გამოეყენებინათ სსსკ-ის 105-ე (§1) მუხლის „ა“ აბზაცით მინიჭებული მსაჯულის აცილების მოთხოვნის „უფლება“.

80. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ 2 მსაჯულს არ განუცხადებია თვითაცილება 105-ე (§1) მუხლის იმავე დებულების საფუძველზე, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე (§1) მუხლის შესაბამისად, მათ ჰქონდათ თვითაცილების „ვალდებულება“.

81. თავის მხრივ, მთავრობას არ გაუკეთებია ახსნა-განმარტება იმის შესახებ თუ რა სახით შეიძლებოდა გამოსწორებულიყო სიტუაცია იმ შემთხვევაში, თუ მომჩივნები ზემოაღნიშნულ მიმართვის საშუალებას გამოიყენებდნენ, ვინაიდან, სახეზე იყო იმ სამართლებრივი ჩარჩოების არარსებობის პრობლემა, რომლებსაც უნდა დაერეგულირებინა ქვეყნის სასამართლო სისტემის ერთი ნაწილი (*Sejdovic c. Italie* [GC], n° 56581/00, §46, CEDH 2006-II). იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული მიმართვის საშუალება შედეგად გამოიღებდა ხსენებული 2 მსაჯულისთვის აცილების მიცემას, იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას გამოეტანა განაჩენი საქმეზე (იხ. „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლი), აღნიშნულ პირებს შეეცვლიდნენ სხვა მსაჯულები, რომელთა მიმართაც მომჩივნებს ანალოგიური პრეტენზიები ექნებოდათ. საქმე იმაშია, რომ მომჩივნების პრეტენზიები მიმართული იყო არა 2 კონკრეტული მსაჯულის, არამედ, მთლიანად, მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ და რომელიც, მომჩივანთა მტკიცებით, მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, მთავრობის მიერ ხსენებული აცილების მოთხოვნა ნამდვილად ვერ გამოასწორებდა არსებულ ხარვეზს. იყო რა თავიდანვე აშკარად განწირული მარცხისთვის (*cf., a contrario, Brusco c. Italie* (déc.), n° 69789/01, CEDH 2001-IX), აღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის „ეფექტიან“ საშუალებას.

82. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელობას მოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვაზე დაყრდნობით, მთავრობას არცერთ მომენტში არ მიუთითებია ანალოგიურ სიტუაციაში რომელიმე ბრალდებულის მიერ აცილების მოთხოვნის გაკეთების მაგალითზე და არც აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე სავარაუდოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება წარმოუდგენია.

83. ზემოაღნიშნული მოტივების გამო, მთავრობის მიერ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვის შესახებ წარმოდგენილი არგუმენტი უარყოფილ უნდა იქნეს. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებლობის არავითარი სხვა მოტივი არ არსებობს, საჩივრის აღნიშნული ნაწილი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

3. რაც შეეხება საგამოძიებო ორგანოთა დამოუკიდებლობას

ა) მხარეთა არგუმენტაცია

84. 3 მომჩივანი ასაჩივრებს იმ ფაქტს, რომ სსსკ-ის 62-ე (§3) მუხლის საწინააღმდეგოდ, სამხედრო პროკურატურას არ დაევალა მათი საქმეზე გამოძიების წარმოება. გამოძიება ჩატარდა უშიშროების სამინისტროს მიერ, მაშინ როდესაც თვით უშიშროების მინისტრი საქმეში დაზარალებულად იყო ცნობილი. შესაბამისად,

მომჩივნები თვლიან, რომ დაირღვა მათი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

85. მთავრობა ამტკიცებს, რომ საქმე უშიშროების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და მაღალი დონის სახელმწიფო მოხელეებს (სსსკ-ის 62-ე (წ § 4 და 6) მუხლი). გარდა ამისა, გენერალური პროკურორი ახორციელებდა გამოძიების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას. ყოველ შემთხვევაში, მომჩივნებს მოეხსნათ ბრალდება უშიშროების მინისტრის მკვლელობის მომზადების ნაწილში.

86. მომჩივნების მხრიდან არავითარი საპასუხო არგუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი.

ბ) სასამართლოს შეფასება

87. სასამართლო შეახსენებს, რომ თუ სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, კონვენციის მე-6 მუხლის მიზანია კომპეტენტური „სასამართლოს“ წინაშე „ბრალდების დასაბუთებულობის“ შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ განაჩენის გამოტანამდე პროცესის მიმდინარეობის ეტაპები მისი ინტერესის მიღმა რჩება. ამრიგად, კონვენციის მე-6 მუხლმა, შესაძლოა ითამაშოს გარკვეული როლი იმ შემთხვევაში თუ მისი დებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს სასამართლო პროცესის სამართლიანობას (*Imbrioscia*, ხსენებული ზემოთ, §36).

88. მოცემულ საქმეში, 1999 წლის 22 მაისს, გენერალური პროკურორის მიერ შედგენილი საგამოძიებო ჯგუფი შედგებოდა 33 გამომძიებლისაგან, რომელთაგან 13 უშიშროების სამინისტროს გამომძიებელი იყო, იმავე სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილის ხელმძღვანელობით. იმ დროისათვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დებულებებისა და ეროვნული სასამართლოების არგუმენტების გათვალისწინებით, რომლებსაც პირველ როგში აქვთ არნიშნული დებულებების ინტერპრეტაციის კომპეტენცია (*Cervero Carrillo c. Espagne (déc.)*, n° 55788/00, 17 mai 2001), სასამართლო, მომჩივნების მოსაზრების საპირისპიროდ, ასკვნის, რომ მათი საქმის გამოძიება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნებოდა (§44).

89. რაც შეეხება საგამოძიებო ჯგუფის დამოუკიდებლობას, მოცემულ საქმეში, სასამართლოს აუცილებლად არ მიაჩნია იმ საკითხის განხილვა, უნდა წარმოედგინა თუ არა აღნიშნულ უწყებას დამოუკიდებლობის გარანტიები, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული პრეტენზია ეწინააღმდეგება დაუშვებლობის მოტივს. სასამართლოს აღნიშნავს, რომ 2001 წლის 8 ნოემბერს, 3 მომჩივანს მოეხსნა ძველი სსკ-ის 67-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდების ნაწილი. აღნიშნული ბრალდების მოხსნა შემდგომში

დადასტურდა საკასაციო ინსტანციის მიერ. მაშასადამე, მომჩივნების მსჯავრდება არ ეფუძნებოდა იმ ბრალდებებისა და მტკიცებულებების ნაწილს, რომელიც მათი მტკიცებით, ახდენდა სასამართლო განხილვის სამართლიანობის კომპრომეტაციას, ვინაიდან ისინი უკავშირდებოდა უშიშროების მინისტრის პირად ინტერესებს. ევროსასამართლოს არ მიაჩნია, რომ კონვენციის 34-ე მუხლის გაგებით, მომჩივნებს შეუძლიათ თავი მიიჩნიონ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევის მსხვერპლებად (*cf.*, *Zeynep Özcan c. Turquie*, n° 45906/99, §§ 54-56, 20 février 2007).

90. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის აღნიშნული ნაწილი *ratione personae* შეუსაბამოა კონვენციის დებულებებთან და დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე.

4. აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით

ა) მხარეთა არგუმენტაცია

91. ბ-ნი ფანჯიკიძე („პირველი მომჩივანი“) ამტკიცებს, რომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, რომელთა ობიექტიც ის გახდა 1999 წლის 22 მარტსა და 24 აპრილს შორის პერიოდში (§§ 11 და 12), არ იქნა საქმეზე თანდართული და არც მათი გამოქვეყნება და განხილვა მომხდარა საქმის სასამართლო განხილვის დროს.

92. მთავრობა ამტკიცებს, რომ პირიქით, უზენაესმა სასამართლომ განიხილა სადავო ჩანაწერების ტრანსკრიპტები და რომ 1-ლ მომჩივანს მიეცა მათი გაკრიტიკების შესაძლებლობა. სწორედ ამგვარად შეძლო მან ეჭვების გამოთქმა ჩანაწერების ავთენტიკურობასთან დაკავშირებით იმ ფაქტების სიმართლესთან შესაბამისობის უარყოფის გარეშე, რომლებსაც აღნიშნული ჩანაწერები შეიცავდა. მომჩივნის ეჭვების შეფასების შემდეგ, ეროვნულმა სასამართლოებმა უარყვეს ისინი დაუსაბუთებლობის მოტივით.

93. ამასთანავე, მთავრობის თანახმად, 1-ლი მომჩივნის მსჯავრდება, მხოლოდ ჩანაწერებზე არ ყოფილა დაფუძნებული, 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ისინი მტკიცებულებების სახითაც კი არ იყო მოხსენიებული. მსჯავრდება უპირველეს ყოფლისა, დაეფუძნა რ.-ს და კ.-ს, 2 უმთავრესი მოწმის ჩვენებებს, რომელთათვისაც შეკითხვების დასმის უფლება ასევე მიეცათ 1-ლ მომჩივანსა და მის ადვოკატებს.

94. 1-ლ მომჩივანს არავითარი საპასუხო არგუმენტი არ წარმოუდგენია.

ბ) სასამართლოს შეფასება

95. სასამართლო შეახსენებს, რომ თუ კონვენცია, თავის მე-6 მუხლით უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლო განხილვას, ის არ ახდენს მტკიცებულებების, როგორც ასეთის, დასაშვებობის რეგლამენტირებას. აღნიშნული სფერო, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება შიდა სამართალს (*Bracci c. Italie*, n° 36822/02, §50, 13 octobre 2005). ევროსასამართლოს მისია მდგომარეობს მხოლოდ იმის გარკვევაში, იყო თუ არა პროცესი მთლიანობაში, მათ შორის მტკიცებულებების წარმოდგენის წესები, სამართლიანი და იყო თუ არა დაცული დაცვის მხარის უფლება (*De Lorenzo c. Italie* (déc.), n° 69264/01, 12 février 2004).

96. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1-ლი მომჩივანი არ ასაჩივრებს იმ მტკიცებულებათა კანონიერებას, რომლებსაც საქმე ეხება (*Schenk c. Suisse*, arrêt du 12 juillet 1988, série A n° 140, §§ 45 et 46).

97. მაშასადამე, საქმის მასალები არ იძლევა საკმარის საფუძველს იმის დასადგენად თუ რა თვალსაზრისით იქნა აღნიშნული მტკიცებულებები გამოძიების პროცესში გამოყენებული, როგორც ნივთმტკიცებები, რა იყო ის მიზეზები, რომელთა გამოც არ მომხდარა მათი შემდგომი დართვა საქმის მასალებისთვის და საჯაროდ წარდგენა საქმის სასამართლო განხილვის დროს. მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ, რომ აღნიშნული მტკიცებულებები დაერთო საქმის მასალებს, არ არის გამყარებული არავითარი დოკუმენტური მტკიცებულებით (მაგალითად, დადგენილება მტკიცებულების სტატუსის ცნობისა და აღნიშნული მტკიცებულების საქმის მასალებზე თანდართვის შესახებ).

98. თუ ვივარაუდებთ, რომ სადავო მტკიცებულებები მართლაც დაერთო საქმის მასალებს, უცნობი რჩება ის მიეცა თუ არა 1-ლ მომჩივანს მიეცა საშუალება, მოსამართლეების წინაშე, დაცვის უფლების პატივცემით შეწინააღმდეგებოდა აღნიშნული მტკიცებულებების მის წინააღმდეგ გამოყენებას და სადავო ჩანაწერების მიხედვით, დაესვა შეკითხვები თანამოსაუბრეებისათვის (*Schenk c. Suisse*, arrêt du 12 juillet 1988, série A n° 140, §§ 45 et suiv.). აღნიშნული არ ირკვევა სასამართლო სხდომის ოქმებიდან, რომლებიც საქმის მასალებში ფიგურირებს. ამის მიუხედავად, ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს არ გააჩნია ყველა სხდომის ოქმი, რომლებიც მხარეებს მისთვის არ მოუწოდებთ, რათა გაემყარებინათ საკუთარი არგუმენტები. თუ დავუშვებთ, რომ 1-ლ მომჩივანს არ მიეცა საშუალება, მოსამართლეების წინაშე გაეპროტესტებინა აღნიშნული სადავო მტკიცებულებები, მივდივართ დასკვნამდე, რომ აღნიშნული არ ფიგურირებს არცერთ განაჩენში, როგორც ელემენტი, რომლებსაც დაეფუძნა 1-ლი მომჩივნის მსჯავრდება. როგორც მთავრობა ამტკიცებს, მომჩივნის ბრალეულობა დადგინდა რ.-ს დაკ.-ს ჩვენებებიდან (§39), რომლებიც დაიკითხნენ გამოძიების პროცესში და შემდგომ, წარსდგნენ სასამართლოს წინაშე, ისე, რომ 1-ლ მომჩივანს მიეცა მათთვის შეკითხვების დასმის სრული შესაძლებლობა პირადად თუ ადვოკატის მეშვეობით.

99. წინამდებარე ეჭვებისა და 1-ლი მომჩივნის მოქმედების გათვალისწინებით, რომელსაც არ გაუცია პასუხი მთავრობის არგუმენტებზე და სასამართლოსთვის არ

მიუწოდებია გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები, სასამართლო იძულებულია, დაასკვნას, რომ მომჩივნის პრეტენზია დაუსაბუთებელია. შესაბამისად, ის დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი აშკარა დაუსაბუთებლობის მოტივით, კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე.

ბ. არსებითი განხილვა

ა) მხარეთა არგუმენტაცია

100. 3 მომჩივანი ეჭვქვეშ აყენებს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა კომპეტენტურობას, რომლებსაც, ასრულებდნენ რა მოსამართლის მოვალეობის იდენტურ მოვალეობას, არ ჰქონდათ არც შესაბამისი განათლება და არც გამოცდილება. მონაწილეობდნენ რა ბრალდებულთა განსჯაში იმ მნიშვნელოვან საქმეებში, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მიერ 1-ლი ინსტანციით განიხილებოდა, მსაჯულებზე, მოსამართლისგან განსხვავებით, არ ვრცელდებოდა პროფესიონალიზმისა და თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის მოთხოვნა („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 46-ე (§1) მუხლი). შესაბამისად, მომჩივნები ასკვნიან, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგებოდა 1 მოსამართლისა და 2 მსაჯულისაგან, არ იყო სამართლებრივად კომპეტენტური მათ წინააღმდეგ მიმართული ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

101. მთავრობა მტკიცედ ეწინააღმდეგება აღნიშნულ არგუმენტს. მისი მტკიცებით, სადავო სასამართლო კოლეგიაში 2 მსაჯულის მონაწილეობა სრულიად კანონიერი იყო, ვინაიდან აღნიშნული გათვალისწინებული იყო „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლით და მათი უფლებამოსილების ვადა, რომელიც რამდენჯერმე იქნა გახანგრძლივებული, არ იყო ამოწურული ფაქტების დადგომის მომენტისთვის (§46, „დ“ და „ვ“ ზემოთ).

102. ზემოაღნიშნულის საპასუხოდ, მომჩივნები ამტკიცებენ, რომ მსაჯულის ფუნქციის განხორციელების სხვადასხვა წესები (არჩევის წესები, უფლებები და მოვალეობები, საქმეების განხილვაში მონაწილეობა), რომლებიც გათვალისწინებულია 1997 წლის 13 ივნისის კანონის 38-ე (§2) მუხლით *in fine* (§19, „გ“), არასოდეს არ ყოფილა დამტკიცებული. ფაქტობრივად, მსაჯულებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა 1990 წლის 28 დეკემბრის კანონიდან (რომელიც 1997 წლის 13 ივნისს გაუქმდა) გამომდინარე პრაქტიკის შესაბამისად (§46, „ბ“)

ბ) სასამართლოს შეფასება

103. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის შესაბამისად, „სასამართლო“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. აღნიშნული ტერმინი ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების სისტემის განუყოფელ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს გამოხატავს. ორგანო რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, უდავოდ მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმურობას, განიხილოს კერძო პირთა დავები (*Lavents c. Lettonie*, n° 58442/00, § 114, 28 novembre 2002).

104. კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გათვალისწინებული „კანონი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ კანონმდებლობას, არამედ, შიდა სამართლის ყველა სხვა დებულებას, რომლისგან გადახვევა კანონიერ საფუძველს აცლის საქმის განხილვაში 1 ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება მსაჯულთა უფლებამოსილებას, თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და აცილებას (*Gurov c. Moldova*, n° 36455/02, §36, 11 juillet 2006). გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე, მის შემადგენლობას თითოეული სქმის განხილვისას (*Buscarini c. Saint-Marin* (déc.), no 31657/96, 4 mai 2000 ; *Posokhov c. Russie*, n° 63486/00, § 39, CEDH 2003-IV).

105. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ჩაწერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და რომ აღნიშნული საკითხის რეგულირება ხდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში, მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია, არც მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას (*Coëme et autres*, précité, §§ 98 et 107 ; *Savino et autres c. Italie*, n°s 17214/05, 20329/05 და 42113/04, §94, 28 avril 2009). აღნიშნულის მიუხედავად „კანონის საფუძველზე შექმნილად“ ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო, რომელიც აჭარბებს კანონით მისთვის ნათლად განსაზღვრულ სასამართლო კომპეტენციას (*Sokourenko et Strygoun c. Ukraine*, n°s 29458/04 et 29465/04, §§ 23-28, 20 juillet 2006).

106. უბრუნდება რა მოცემული საქმის გარემოებებს, სასამართლო შეახსენებს, რომ 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების 1-ლი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის

გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმასაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. ისინი მსაჯულის ფუნქციებს მათი მოქალაქეობრივი მოვალეობის კონტექსტში ასრულებდნენ (§46, „ე“ პუნქტში მითითებული შრომის კოდექსი).

107. სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, მომჩივნების საქმის განხილვაში 2 მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლს. ის ასევე ემყარებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 434-ე მუხლის I პარაგრაფს. აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომჩივნების საქმის განხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თვით არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

108. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნეს „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. საქმე იმაშია, რომ წინამდებარე განაცხადში ისმის კითხვა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას. მართლაც, უნდა დავასკვნათ, რომ ამ თვალსაზრისით, რომ 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის არსებული მოკლე პერიოდის გარდა (§19 „გ“ *in fine*), აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი არავითარი კანონი არ არსებობდა. თუ სსსკ-ის 44-ე (§2) მუხლის თანახმად, მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, აღნიშნული კანონი არ არსებობდა ფაქტების დადგომის მომენტში. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ჩატარებულ კვლევას არ გამოუვლენია ასეთის არსებობა და საგანგებოდ დაესვა რა შეკითხვები აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას არავითარი არგუმენტით არ უპასუხია. რეალურად, ორივე ტექსტი არეგულირებდა მსაჯულთა ფუნქციების განხორციელებას – კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ და 1999 წლის 5 მარტის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ – ფაქტების დადგომის მომენტში უკვე გაუქმებული იყო ისე, რომ შემდგომში, მათი შემცვლელი არავითარი კანონი არ ყოფილა მიღებული.

109. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნების საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული არჩეულ იქნა 1991 წლის 14 ივნისს, მაშინდელი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ამასთანავე, თვით 1991 წლის დადგენილება წარმოადგენს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას და არ შეიცავს არავითარ დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის და ა.შ. შესახებ. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შემდგომ მიღებულ კანონებთან მიმართებით, რომლებითაც, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ხდებოდა მსაჯულთა

უფლებამოსილების ავტომატური გაგრძელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ იურიდიულ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით, აღნიშნული კანონები მსგავსი ტიპის არავითარ დებულებას არ შეიცავდა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი, რომელიც არეგულირებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას, არ ან აღარ არსებობდა (§109).

110. დასკვნის სახით, მომჩივნების საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა, მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და მათი რაოდენობის გათვალისწინებით, მათ ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ მოსამართლის ფუნქციების გახორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“.

111. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი.

III. კონვენციის მე-6 (§§ 2 და 3 (c და d)) მუხლის სავარაუდო დარღვევა

112. 3 მომჩივანი ამტკიცებს, რომ 1999 წლის 24 მაისს, სახელმწიფო ტელევიზიის 1-ლ არხზე, ზოგიერთმა მაღალი რანგის თანამდებობის პირმა გააკეთა კონვენციის მე-6 (§2) მუხლის საწინააღმდეგო განცხადებები. კონვენციის მე-6 (§2) მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“

113. სასამართლოს მიერ საგანგებოდ ეთხოვა რა აღნიშნულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემა, მთავრობას არავითარი პასუხი არ გაუცია.

114. 3 მომჩივანი ასევე მიიჩნევს, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§3 (c)) მუხლის დარღვევას, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს სულ მცირე შემდეგი უფლებები :

c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.“

115. მომჩივნები განსაკუთრებით ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ ფაქტების დადგომის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით, მათ არ ჰქონდათ ადვოკატის

აყვანის შესაძლებლობა ეჭვიტანილად ცნობამდე. სწორედ ადვოკატის აყვანის შესაძლებლობის არქონის პერიოდში გახდა რამდენიმე მათგანი ღამით დაკითხვისა და და უკანონო საგამოძიებო აქტების ობიექტი. გარდა ამისა, ეჭვიტანილად ცნობის შემდეგ, ისინი აიძულეს, დათანხმებულიყვნენ სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის დახმარებაზე.

116. მთავრობას არ ჩამოუყალიბებია საკუთარი არგუმენტები აღნიშნული პრეტენზიების დასაშვებობასთან დაკავშირებით.

117. გარდა ამისა, ბ-ნი ყურაშვილი აპროტესტებს გამომძიებლის უარს ადვოკატ ბედენაშვილის პროცესზე დაშვებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პოზიციას მთავრობა დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

118. რაც შეეხება პირველ მომჩივანს, ის ასაჩივრებს იმ ფაქტს, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, რომ დაკითხულიყვნენ მისი მეუღლე და მამა, რომლებიც, მისი ადვოკატის თანახმად, ფლობდნენ „მნიშვნელოვან ინფორმაციებს“, რომლებიც მისი კლიენტის ინტერესებში შედიოდა. კონვენციის მე-6 (§3 (d) მუხლი შემდეგინარიად არის ჩამოყალიბებული :

„ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

დ) დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.“

119. აღნიშნულ სფეროში ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული პრეტენზიები არ არის აშკარად დაუსაბუთებელი ან დაუშვებელი რაიმე სხვა მოტივის გამო. შესაბამისად, ისინი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

120. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის მე-6 (§3) მუხლის მოთხოვნები წარმოადგენს I პარაგრაფით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განსაკუთრებულ ასპექტს (იხ. სხვებს შორის, *Lucà c. Italie*, n° 33354/96, §37, CEDH 2001-II), ზემოხსენებული პრეტენზიების მხედველობაში მიღება უნდა მოხდეს ორივე ტექსტის ერთობლიობაში გათვალისწინებით.

121. ამგვარად, სასამართლო იმეორებს, როგორც მან ზემოთ აღნიშნა, რომ მომჩივნები არ ყოფილან გასამართლებულნი „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ სასამართლოს არ შეეძლო მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისთვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა. საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ მან განცალკევებულად უნდა განიხილოს სადავო პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით წამოყენებული პრეტენზიები (იხ. *mutatis mutandis*, *Çiraklar c. Turquie*, 28 octobre 1998, §§ 44 et 45, *Recueil* 1998-VII ; *Göçekli c. Turquie*, n° 71813/01, §34, 21 décembre 2006.).

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

122. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

123. მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, ბ-ნი ფანჯიკიძე ითხოვს 200.000 ევროს, ბ-ნი ყურაშვილი – 500.000 ევროს და ბ-ნი ქანთარია – 100.000 ევროს. ისინი ამტკიცებენ, რომ გადაიტანეს მნიშვნელოვანი ტანჯვა სახელმწიფო ღალატში უსამართლოდ მსჯავრდების გამო, რაც მათ ამცირებს როგორც საკუთარ ისე ოჯახის წევრებისა და საზოგადოების თვალში. მომჩივნები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ამგვარი მსჯავრდების გამო, ისინი ვეღარასოდეს შეძლებენ საქართველოში მუშაობას. გარდა ამისა, ბ-ნი ფანჯიკიძე ამტკიცებს, რომ მისმა დაკავებამ გამოიწვია მისი მამის გარდაცვალება და რომ ის გახდა პატიმრობის ცუდი პირობებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის უგულვებელყოფის მსხვერპლი. ბ-ნი ყურაშვილი ამტკიცებს, რომ მისთვის, მით უფრო გაუსაძლისია, იყოს მოღალატედ მიჩნეული, რომ ის იყო თავდაცვის გენერალი. ბ-ნი ქანთარია კი ამტკიცებს, რომ 2006 წლის სექტემბერში, ის ხელახლა იქნა დაკავებული იმავე ფაქტების გამო.

124. მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, მომჩივნები ითხოვენ 10.000 ევროს და აცხადებენ, რომ მათი ოჯახები იძულებულები გახდნენ, მათთვის ციხეში მიეტანათ საკვები და ამგვარად გადაერჩინათ ისინი.

125. მთავრობას კომენტარები არ წარმოუდგენია.

126. სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ხსენებულ მატერიალურ ზიანსა და წინამდებარე საქმეში დადგენილ კონვენციის დარღვევას შორის (*Nikolova c. Bulgarie* [GC], n° 31195/96, §73, CEDH 1999-II). შესაბამისად, მოთხოვნის აღნიშნული ნაწილი უარყოფილ უნდა იქნეს.

127. რაც შეეხება მორალურ ზიანს, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლებმა განიცადეს გარკვეული მორალური ზიანი კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევის გამო. სასამართლოს თანახმად, მხოლოდ დარღვევის დადგენა ვერ აანაზღაურებს განცდილ ზიანს.

128. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო, ბ-ნებს, ყურაშვილს, ფანჯიკიძესა და ქანთარიას, თითოეულ მათგანს, მიაკუთვნებს 2.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ როდესაც, როგორც წინამდებარე საქმეში, ადგილი ჰქონდა მომჩივნების 1-ლი ინსტანციით მსჯავრდებას

იმ სასამართლოს მიერ, რომელიც, კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი და ამის შემდგომ, საქმის ხელახალ, გლობალურ არსებით განხილვას ადგილი არ ჰქონია (§16), ახალი პროცესი ან საქმის ხელახალი არსებითი განხილვა მომჩივნების მოთხოვნის საფუძველზე, პრინციპში, წარმოადგენს დადგენილი დარღვევის აღმოფხვრის სათანადო საშუალებას (იხ, *mutatis mutandis, Öcalan c. Turquie* [GC], n° 46221/99, §210 *in fine*, CEDH 2005-IV).

ბ) ხარჯები და დანახარჯები

129. ბ-ნები, ყურაშვილი და ფანჯიკიძე ითხოვენ 3.000 ევროს შიდა სასამართლოების წინაშე მათი ინტერესების დაცვის ხარჯების ანაზღაურების სახით და 2.500 ევროს ევროპული სასამართლოს წინაშე მათი ინტერესების დაცვის ხარჯების ანაზღაურების სახით. იმავე ხარჯების სახით, ბ-ნი ქანთარია ითხოვს, შესაბამისად, 2.000 და 2.500 ევროს.

130. აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავრობას კომენტარები არ წარმოუდგენია.

131. სასამართლო შეახსენებს, რომ, რეგლამენტის მე-60 (§2) მუხლის შესაბამისად, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე წამოყენებული თითოეული პრეტენზია უნდა იყოს დაანგარიშებული, შესაბამის გრაფებში განაწილებული და აუცილებელი მტკიცებულებებით გამყარებული, რის გარეშეც, სასამართლოს შეუძლია, ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოს აღნიშნული მოთხოვნა (*Svipsta c. Lettonie*, n° 66820/01, §170, CEDH 2006-III (extraits)).

132. მოცემულ საქმეში, მომჩივნები შემოიფარგლებიან მხოლოდ მათი ინტერესების დაცვის ანაზღაურების მიზნით გადასახდელი თანხით, ყოველგვარი აუცილებელი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. ასეთ პირობებში, სასამართლომ გადაწყვიტა, უარყოს აღნიშნული მოთხოვნა, როგორც დაუსაბუთებელი (ალიევი საქართველოს წინააღმდეგ, §§ 130-134, 2009 წლის 13 იანვარი).

გ) საურავი

91. სასამართლომ საჭიროდ მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება 3 პროცენტი

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად :

1. დასაშვებად ცნობს ბ-ნების, ფანჯიკიძის, ყურაშვილისა და ქანთარიას მიერ, სასამართლო განხილვაში მსაჯულთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-6 წეს 1, 2 და 3 c) და d) პარაგრაფების საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს - დაუშვებლად;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 (წეს 1) მუხლი, იმ თვალსაზრისით, რომ ბ-ნები ფანჯიკიძე, ყურაშვილი და ქანთარია არ ყოფილან გასამართლებულნი „კანონის საფუძველზე შექმნილი“ სასამართლოს მიერ;

3. ადგენს, რომ განცალკევებულად არ განიხილავს მომჩივნების მიერ კონვენციის მე-6 (წეს 2 და 3 c) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს;

4. ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ, ბ-ნებს, ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას, კონვენციის 44-ე (წეს 2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს 2.000 (ორი ათასი) ევრო თითოეულს მორალური ზიანისათვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი ;

4. უარყოფს მომჩივნების დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2009 წლის 27 ოქტომბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (წეს 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

ფრანსუაზ ელენს-პასოსი
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე